

შპს “პირველი სამედიცინო ცენტრი“ (ს/კ: 200007143)

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქ. თბილისი
2020 წ.

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.....	4
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ზოგადი ინფორმაცია	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
შემოსავლის აღიარება.....	8
ხარჯების აღიარება	8
სხვა ხარჯები	9
უცხოური ვალუტის კონვერტაცია.....	9
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	10
მოგების გადასახადი.....	10
ძირითადი საშუალებები.....	10
აქტივების გაუფასურება.....	11
იჯარა.....	12
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
სავაჭრო ვალდებულებები	13
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.....	13
1. შემოსავალი.....	13
2. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი.....	14
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	15
5. ძირითადი საშუალებები.....	15
6. არამატერიალური აქტივები.....	16
7. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები.....	17
8. წინასწარ გადახდილი თანხები.....	17
9. საწესდებო კაპიტალი.....	17
10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	18
11. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები.....	18

14.	დივიდენდები	19
15.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	19
16.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	19
17.	ფუნქციონირებადი საწარმო.....	19
18.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

შპს "პირველი სამედიცინო ცენტრი"
ს/კ: 200007143

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნები	31.12.19	31.12.2018	31.12.2017
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	10	87,556	696,500	510,042
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	2,474,212	1,883,255	1,568,364
წინასწარ გადახდილი თანხები	8	10,507	28,229	34,532
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4	30,000	28,095	11,000
სულ მიმდინარე აქტივები		2,602,275	2,636,079	2,123,938
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში				
ძირითადი საშუალებები	5	1,291,862	1,214,820	1,063,174
არამატერიალური აქტივები	6	5,086	5,984	5,628
გუდვილი		4,853,610	4,853,610	4,853,610
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-	-
სულ აქტივები		8,752,833	8,710,493	8,046,350
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			604,381	2,244,923
სავაჭრო ვალდებულებები	7	166,634	175,179	136,847
გადასახდელი პროცენტი				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება				
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის				
დებიტორული დავალიანების ანარიცხი				
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)		-	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		166,634	779,560	2,381,770
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	5,555,142	5,555,142	4,224,292

	შენიშვნები	31.12.19	31.12.2018	31.12.2017
		ლარი	ლარი	ლარი
სხვა სესხები				
გადასახდელი პროცენტი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება				
	შენიშვნები	31.12.19	31.12.2018	31.12.2017
		ლარი	ლარი	ლარი
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,555,142	5,555,142	4,224,292
სულ ვალდებულებები		5,721,776	6,334,702	6,606,062
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	174,214	174,214	174,214
გაუნაწილებელი მოგება		2,856,843	2,201,577	1,266,074
სულ საკუთარი კაპიტალი		3,031,057	2,375,791	1,440,288
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,752,833	8,710,493	8,046,350

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 25 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი:

ზაზა ავალიანი

ფინანსური დირექტორი

ქეთევან პოპიაშვილი

შპს "პირველი სამედიცინო ცენტრი"
ს/კ: 200007143

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	2019	2018
		ლარი	ლარი
ამონაგები	1	5,924,267	6,071,031
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1	52,925	52,053
სულ შემოსავალი		5,977,192	6,123,084
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება			
გამოყენებული ნედლეული და მასალები	4	(1,071,143)	(1,174,574)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	11	(3,305,640)	(3,062,053)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(206,977)	(182,045)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
იჯარის ხარჯი		(88,429)	(82,688)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2	(295,413)	(429,416)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი			
სულ საოპერაციო ხარჯები		(4,967,602)	(4,930,776)
ფინანსური დანახარჯები			
სესხის პროცენტი	13	(354,324)	(144,524)
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(354,324)	(144,524)
წლის მოგება/ზარალი(დაბეგვრამდე)		655,266	1,047,784
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		655,266	1,047,784
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		2,201,577	1,266,074
სხვა ცვლილება			
დივიდენდები	14		(112,281)
წმინდა მოგება წლის ბოლოს		2,856,843	2,201,577

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 25 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი:

ზაზა ავალიანი

ფინანსური დირექტორი

ქეთევან პოპიაშვილი

შპს "პირველი სამედიცინო ცენტრი"
ს/კ: 200007143

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		5,175,493.00	5,662,454.00
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(3,908,847.00)	(3,952,036.00)
დამფუძნებლის შემონატანები			1,330,850.00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		1,266,646.00	3,041,268.00
გადახდილი პროცენტები		(354,324.00)	(144,524.00)
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი სხვა გადასახადები		(648,024.00)	(617,065.00)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		264,298.00	2,279,679.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		(283,121.00)	(341,310.00)
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები		20,231.00	37,906.00
მიღებული დივიდენდები			
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(262,890.00)	(303,404.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან			
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)		(610,352.00)	(1,683,150.00)
გადახდილი დივიდენდები			(106,667.00)
გაცემული სესხი (გასესხებული თანხა)			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(610,352.00)	(1,789,817.00)
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(608,944.00)	186,458.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	10	696,500.00	510,042.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	10	87,556.00	696,500.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 25 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი:

ზაზა ავალიანი

ფინანსური დირექტორი

ქეთევან პოპიაშვილი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „პირველი სამედიცინო ცენტრი“ რეგისტრირებულია საქართველოში 21/09/1999 წლიდან. საზოგადოების დამფუძნებლები არიან 1. ზაზა ავალიანი, 01024010151 45% წილის მფლობელი და 2. ქეთევან გოცირიძე, 01024044938 – 55% წილის მფლობელი. ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა - გენერალური დირექტორი - ზაზა ავალიანი, 01024010151; აღმასრულებელი დირექტორი - ოთარ გადაბაძე, 01025012422. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ცოტნე დადიანის ქ. №255. საქმიანობის ადგილი არის საქართველო. კომპანია ეწევა სამედიცინო საქმიანობას. ემსახურება როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პაციენტებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების

კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი

მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5% პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა:	20 % პროცენტი
ინვენტარი და ოფისის აღჭურვილობა	20% პროცენტი
არამატერიალური აქტივები	15% პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ

შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავამდყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ტრანსპორტირება და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

1. შემოსავალი

ამონაგები:	2019 ლარი	2018 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5 924 267	6 071 031
არასაოპერაციო შემოსავალი	52 925	52 053
სულ	5 977 192	6 123 084

2018 წელს არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

- ✓ საპროცენტო შემოსავალი - 37 717.
- ✓ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება - 14 336.

2019 წელს არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

- ✓ საპროცენტო შემოსავალი - 20 232.
- ✓ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება - 32 693

2. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	2019 წელი	2018 წელი
პაციენტთა კვების ხარჯი	0	45 920
კომპ. ტექნიკის მომსახურების ხარჯი	2 876	14 951
რემონტი	0	2 749
ლიზენზიები, ნებართვები ნოტარიუსის ხარჯი	2 515	1 892
სხვა კლინიკებში ჩატარებული კვლევების ხარჯი	65 812	66 218
რეცხვის ხარჯი	32 654	21 393
კომუნალური ხარჯი	179 167	182 728
საკომუნიკაციო ხარჯი	8 985	7 453
დაცვის ხარჯი	3 240	3 240
ჯარიმები	0	2000
ბანკის მომსახურების ხარჯი	164	131
სხვა ხარჯი		80 741
სულ	295 413.00	429 416.00

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 ლარი	2018 ლარი
დებიტორული დავალიანება	2 474 212	1 883 255

დებიტორული დავალიანება წარმოშობილია მიწოდებიდან, გადახდის ვადები არ აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდებამათ სამართლიან ღირებულებებს.

4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019 ლარი	2018 ლარი
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წლის დასაწყისში	28 095	11 000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენა	1 073 048	1 191 669
გახარჯული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	-1 071 143	-1 174 574
ნაშთი წლის ბოლოს	30 000	28 095

5. ძირითადი საშუალებები

შპს პირველი სამედიცინო ცენტრი ს/კ: 200007143	მიწა, შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი/ინვენტარი და სხვა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება					
1 იანვარი, 2017 წ. ნარჩენი ღირებულება	642,306	175,370	9,958	70,225	897,859
შემოსვლა	20,222	264,369	4,621	20,629	309,841
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2017 წ.	662,528	439,739	14,579	90,854	1,207,700
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2017 წ.					
წლიური ცვეთა 2017 წლის	31,696	86,445	2,916	17,840	138,897
გაუფასურება	-	-	-	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			-		
31 დეკემბერი, 2017 წელი ცვეთა	31,696	86,445	2,916	17,840	138,897
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2017 წ.					
1 იანვარი, 2018 წ. ნარჩენი ღირებულება	630,832	353,294	11,663	73,014	1,068,803

შპს პირველი სამედიცინო ცენტრი ს/კ: 200007143	მიწა,შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი/ინვენტარი და სხვა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
შემოსვლა	27,897	286,611	11,045	8,495	334,048
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018 წ.	658,729	639,905	22,708	81,509	1,402,851
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2018 წ.					
წლიური ცვეთა 2018 წლის	34,956	126,598	4,542	15,950	182,046
გაუფასურება	-	-	-	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018 წელი ცვეთა	34,956	126,598	4,542	15,950	182,046
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2018 წ. ნარჩენი ღირებულება	623,773	513,307	18,166	65,559	1,220,805
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2018 წ.					
1 იანვარი, 2019 წ. ნარჩენი ღირებულება	623,773	513,307	18,166	65,559	1,220,805
შემოსვლა		270,816	8,697	3,608	283,121
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019 წ.	623,773	784,123	26,863	69,167	1,503,926
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2019 წ.					
წლიური ცვეთა 2019 წლის	32,518	155,552	5,373	13,534	206,977
გაუფასურება	-	-	-	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019 წელი ცვეთა	32,518	155,552	5,373	13,534	206,977
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2019 წ. ნარჩენი ღირებულება	591,255	628,571	21,490	55,633	1,296,949

6. არამატერიალური აქტივები

	2019 ლარი	2018 ლარი
საბუღალტრო და სამედიცინო პროგრამები	5 086	5 984
სულ	5 086	5 984

7. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი
ვალდებულებები მომწოდებლებთან	166 634	175 179
<i>სულ</i>	166 634	175 179

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მათი საბალანსო ღირებულებისგან.

8. წინასწარ გადახდილი თანხები

	2019 ლარი	2018 ლარი
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	10 507	28 229
<i>სულ წინასწარ გადახდილი თანხები</i>	10 507	28 229

9. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და წარმოადგენს 174 214 ლარს. კომპანიის წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019 ლარი	2018 ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	5 156	2 213
ფული საბანკო ანგარიშებზე	82 400	694 287
სულ	87 556	696 500

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

11. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები

	2019 ლარი	2018 ლარი
დარიცხული ხელფასები	3 305 640	3 062 053
გაცემული ხელფასები	3 305 640	3 062 053
გასაცემი ხელფასები	0	0

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და სხვა პერსონალზე გაცემულ ანაზღაურებას.

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხი	5 555 142	5 555 142
სულ	5 555 142	5 555 142

13. არასაოპერაციო ხარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი
სესხის პროცენტი	354 324	144 524
სულ	354 324	144 524

14. დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

	2019 ლარი	2018 ლარი
გაცემული დივიდენდები	0	112 281

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

17. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ მომსახურების მიწოდება და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 25 სექტემბერს.